VII კლასი

რა ვიცით პარლამენტის შესახებ?



თბილისი
2020

რა ვიცით პარლამენტის შესახებ?

7

მოსწავლის სახელმძღვანელო

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საქართველოს პარლამენტი

UNDP

სახელმძღვანელო მომზადებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით.

სახელმძღვანელოს შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები და მისი შინაარსი არ უნდა აღვიქვათ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად.

ტექსტის ავტორები: კახაბერ ურიადმყოფელი
ნინო გვარამაძე

სტილის რედაქტორი: ეკა ბუჯიაშვილი

შემოქმედებითი ჯგუფი:

კონცეფცია: დემოკრატიის ლაბორატორია

ილუსტრაციები: გამეზა [George Gamez]

დიზაინი: თეონა კერესელიძე

დაიბეჭდა შპს „სეზანში“
CEZANNE PRINTING HOUSE

© ყველა უფლება დაცულია
© საქართველოს პარლამენტი

ISBN 978-9941-8-2688-7

ძვირფასო მეგობარო!

შენ უკვე იცი ზოგი რამ საქართველოს პარლამენტის შესახებ, ამ წიგნით კი დამატებით ინფორმაციას მიიღებ პარლამენტის საქმიანობაზე და გაიღრმავებ ცოდნას ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს შესახებ.

გისურვებ წარმატებებს!

შინაარსი

1. ზოგი რამ პარლამენტის ისტორიიდან 5

2. პარლამენტარიზმი საქართველოში 8

ქართული პარლამენტარიზმის მნიშვნელოვანი თარიღები 8

საქართველოს პარლამენტი დღეს 12

3. პარლამენტის სტრუქტურა 13

4. პარლამენტი - წარმომადგენლობითი ორგანო 14

5. პარლამენტის ფუნქციები 16

პარლამენტის საკანონმდებლო ფუნქცია 16

პარლამენტის საკონტროლო საქმიანობა 20

პარლამენტის სხვა ფუნქციები 25

6. მოქალაქეთა მონაწილეობა პარლამენტის საქმიანობაში 27

საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენა მოქალაქეთა მხრიდან 27

მონაწილეობა კომიტეტის სხდომაში 28

საკანონმდებლო წინადადებით მიმართვა 28

კომენტარის გაკეთება 28

პეტიცია 28

7. საპარლამენტო კალენდარი 30

8. როგორ გავეცნოთ პარლამენტის საქმიანობას ონლაინ? 31

9. ექსკურსია საქართველოს პარლამენტში 32

პარლამენტის საკონტაქტო ინფორმაცია 34

1. ზოგი რამ პარლამენტის ისტორიიდან

სიტყვა **პარლამენტი** მოდის ფრანგული სიტყვიდან „parler“ („პარლე“), რაც ლაპარაკს ნიშნავს. ამიტომ, გასაკვირი არ არის, თუ რატომ ეწოდა ეს სახელი ადგილს, სადაც ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე საუბრობენ და მხოლოდ შემდეგ იღებენ გადაწყვეტილებას.

პარლამენტი ბევრ სახელმწიფოში არსებობს. ამ ორგანოს შექმნამდე სახელმწიფოს მართავდა **მონარქი** (მას სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელი ერქვა – მეფე, იმპერატორი, შაჰი და ა.შ.). ის ერთპიროვნულად განაგებდა ქვეყანას.

- გაიხსენე, რომელი მონარქის შესახებ გსმენია ან წაგიკითხავს.

ერთპიროვნულ მმართველობას უამრავი საფრთხე ახლავს. ამ დროს ყველაფერი ერთ პირზეა დამოკიდებული და მთელი ქვეყანა იძულებულია, ისე იცხოვროს, როგორც ერთი ადამიანი გადაწყვეტს. პარლამენტი კი წარმომადგენლობითი ორგანოა. ეს ნიშნავს, რომ იქ წარმოდგენილია ბევრი ადამიანი და, შესაბამისად, ბევრის აზრიც. ამასთანავე, პარლამენტში იმართება დისკუსია და გადაწყვეტილებები მიიღება ერთობლივი მსჯელობით.

სხვადასხვა სახელმწიფოს პარლამენტი საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვანაირად ყალიბდებოდა და ვითარდებოდა. თანამედროვე მოდელის პირველი პარლამენტი XIII საუკუნის ინგლისში შეიქმნა. შესაბამისად, მონარქი, რომელსაც მანამდე სრული ძალაუფლება ჰქონდა, იძულებული გახდა, გარკვეული უფლებამოსილებები პარლამენტისთვის გადაენაწილებინა.

საქართველოში პარლამენტის მსგავსი ორგანოს შექმნა ჯერ კიდევ თამარ მეფის ეპოქაში (XII საუკუნეში) სცადეს. მეჭურჭლეთუხუცეს ყუთლუ-არსლანის აზრით, ახალ სტრუქტურაში უნდა გაერთიანებულიყო ორი პალატა, „დარბაზი“ და „კარავი“, თუმცა ეს იდეა ვერ განხორციელდა.

პარლამენტი შეიძლება იყოს ერთპალატიანი და ორპალატიანი. საქართველოს პარლამენტი ერთპალატიანია.

ასევე ერთპალატიანია პარლამენტი უკრაინაში, შვედეთში, უნგრეთში, ისრაელში და ა.შ.

ორპალატიან პარლამენტში არსებობს ქვედა და ზედა პალატები. მთავარ საქმეს უმეტესწილად ქვედა პალატა ასრულებს, ზედა პალატა კი მეთვალყურეობს ქვედა პალატაში მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ზოგიერთ ქვეყანაში პარლამენტსა და მის პალატებს განსხვავებული სახელი აქვს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს **კონგრესს** ეძახიან, მის ზედა პალატას – **სენატს**, ხოლო ქვედას – **წარმომადგენელთა პალატას**.

თურქეთის ერთპალატიან პარლამენტს **მეჯლისად** მოიხსენიებენ.

გაერთიანებულ სამეფოში პარლამენტის ზედა პალატას **ლორდთა პალატა** ეწოდება, ხოლო ქვედას – **თემთა პალატა**.

საფრანგეთის პარლამენტში კი ზედა და ქვედა პალატებს, შესაბამისად, **სენატი** და **ეროვნული ასამბლეა** ჰქვია.

აქტივობა 1.1

მოძებნეთ აღნიშნული ქვეყნები (აშშ, თურქეთი, გაერთიანებული სამეფო და საფრანგეთი) ქვემოთ მოცემულ რუკაზე.

2. პარლამენტარიზმი საქართველოში

ქართული პარლამენტარიზმის მნიშვნელოვანი თარიღები:

1918 წლის 26 მაისი
საქართველომ თავი დააღწია რუსეთის იმპერიას და დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

არჩევნები — პროცესი, რომლის შედეგადაც ხალხი ირჩევს ხელისუფლებას.

1919 წლის 14–16 თებერვალი
ჩატარდა საქართველოს ისტორიაში პირველი მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები.

შედეგად, აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრება, იგივე პარლამენტი, 130 წევრის შემადგენლობით.

1990 წლის 28 ოქტომბერი

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველოში ჩატარდა პირველი მრავალპარტიული არჩევნები.

კონსტიტუცია ქვეყნის უზენაესი კანონია. მასში განსაზღვრულია ადამიანის უფლებები და ის ძირითადი დებულებები, რომლებითაც იმართება სახელმწიფო. ყველა სხვა კანონი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.

1921 წლის 25 თებერვალი

თბილისში რუსეთის წითელი არმია შემოვიდა, საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა და მომდევნო 70 წელი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში გაატარა.

1995 წლის 24 აგვისტო

პარლამენტმა მიიღო მეორე კონსტიტუცია, რომელიც დღესაც მოქმედებს.

1921 წლის 21 თებერვალი

საქართველოს პარლამენტმა მიიღო პირველი კონსტიტუცია. თუმცა მას ამოქმედება არ დასცალდა.

პოლიტიკური პარტია – მოქალაქეთა ჯგუფის გაერთიანება საერთო იდეების გარშემო, რომელიც მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ინტერესებს გამოხატავს. პოლიტიკური პარტიები არჩევნებში მონაწილეობით ცდილობენ ხელისუფლებაში მოსვლას.

- როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს მრავალპარტიულობა?



მრავალპარტიულია სახელმწიფო, სადაც ბევრი პარტია არსებობს. მათ აქვთ თანაბარი განვითარების შესაძლებლობა და ერთმანეთს არჩევნების გზით ეჯიბრებიან. მრავალპარტიულობა ხელს უწყობს განსხვავებული აზრებისა და იდეების არსებობას. ეს, თავის მხრივ, იძლევა საშუალებას, რომ დაცული იყოს ყველა ჯგუფის ინტერესები.

ერთპარტიული ქვეყნის სათავეში ერთი პარტია დგას და სხვა პარტიებს არ აქვთ არსებობის საშუალება. შესაბამისად, შეუძლებელია განსხვავებული აზრის გამოხატვაც. ამის მაგალითი იყო კომუნისტური პარტია საბჭოთა კავშირში.

- იცოდით, რომ საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ქალებს აქტიურ პოლიტიკაში ჩართვის უფლება მიეცათ?

ფოტოებზე გამოსახულნი არიან პირველი ქართველი პარლამენტარი ქალები (1919 წელს არჩეული დამფუძნებელი კრების წევრები):

ანა სოლოღაშვილი

ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე

ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე

მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე

ქრისტინე შარაშიძე

- რატომ არის მნიშვნელოვანი ქალების ყოფნა პარლამენტში?

საზოგადოების ნახევარს ქალები შეადგენენ, ამიტომ მათი წარმომადგენლები უნდა იყვნენ პარლამენტში, რათა უკეთ გამოხატონ ქალთა და გოგონათა ინტერესები.

საქართველოს პარლამენტი დღეს

პარლამენტს მნიშვნელოვანი როლი აკისრია სახელმწიფოს ცხოვრებაში. ეს არის უმაღლესი პოლიტიკური ორგანო, სადაც წყდება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხები.

პარლამენტის შესახებ უკვე გაქვს ინფორმაცია. გაიხსენე:

- ვინ ირჩევს პარლამენტს?
- რა ჰქვია პარლამენტის წევრს მეორენაირად?
- რა ჰქვია სხდომას, რომელშიც პარლამენტის ყველა დეპუტატი მონაწილეობს?

აქტივობა 2.1

ოთხ წებოვან ქაღალდზე დაწერე თითო რიცხვი, რომელიც პასუხობს კითხვას დაფაზე წარმოდგენილ ცხრილში. ფურცლები დაფაზე მიაკარი შესაბამისი კითხვის გასწვრივ (ცხრილის ასლი მოცემულია ქვემოთ).

სულ მცირე, რამდენი წლის უნდა იყოს ამომრჩეველი?	
სულ მცირე, რამდენი წლის უნდა იყოს დეპუტატი?	
სულ მცირე, რამდენი წელი უნდა ცხოვრობდეს ადამიანი საქართველოში, რომ დეპუტატად აირჩიონ?	
სულ რამდენი წევრია პარლამენტში?	
რამდენ წელიწადში ერთხელ ტარდება მორიგი საპარლამენტო არჩევნები?	

არ ჩაწერო წიგნში

- კიდევ რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს პარლამენტის წევრი?

ახალი სიტყვები: არჩევნები, პოლიტიკური პარტია, მრავალპარტიული, ერთპარტიული, კონსტიტუცია.

3. პარლამენტის სტრუქტურა

პარლამენტის 150 წევრი გაერთიანებულია სხვადასხვა ჯგუფში და მრავალფეროვან საქმიანობას ეწევა. ქვემოთ მოყვანილია სტრუქტურა, რომელიც დაგეხმარება პარლამენტის მუშაობის გაგებაში.



სურათზე მოცემულია ჯგუფები, სადაც დეპუტატები ერთიანდებიან. მათ დანიშნულებას გაეცნობი პარლამენტის ფუნქციების შესწავლისას.

გარდა ამისა, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ჰყავს **პარლამენტის აპარატი**, რომელიც პარლამენტის წევრებს ეხმარება თავიანთი ფუნქციების შესრულებაში. აპარატში დასაქმებულია რამდენიმე ასეული ადამიანი. მათ შორის არიან იურისტები, ეკონომისტები და სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

ახალი სიტყვები: პარლამენტის აპარატი

4. პარლამენტი - წარმომადგენლობითი ორგანო

პარლამენტის წევრებს ირჩევს ხალხი. ისინი სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენენ, თუმცა დეპუტატს უფლება აქვს, არც ერთი პარტიის წევრი არ იყოს. ერთ პარტიაში გაერთიანებულ დეპუტატებს მსგავსი შეხედულებები აქვთ. ამომრჩეველი მათი ხედვის შესაბამისად წყვეტს, თუ ვის დაუჭერს მხარს არჩევნებზე.

- გაიხსენე, რა არის პოლიტიკური პარტია?

პოლიტიკური პარტია – მოქალაქეთა ჯგუფის გაერთიანება მსგავსი იდეების გარშემო, რომელიც მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ინტერესებს გამოხატავს. პოლიტიკური პარტიები არჩევნებში მონაწილეობით ცდილობენ ხელისუფლებაში მოსვლას. ამიტომ ამბობენ, რომ პარლამენტი წარმომადგენლობითი ორგანოა.

ერთი და იმავე პოლიტიკური პარტიის წევრები პარლამენტში ქმნიან საპარლამენტო ფრაქციებს (იხ. სურათი, გვ. 13). ფრაქციის წევრები უმეტესად ერთობლივად მოქმედებენ და იცავენ საკუთარ პოზიციებს. ფრაქციის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა, სულ მცირე, 7 დეპუტატი. მას ცალკე სასაუბრო დრო ეძლევა საკითხების განხილვისას.

პარლამენტის წევრები არჩევისას დებენ ფიცს:



პარლამენტის წევრები, როგორც ხალხის წარმომადგენლები, ვალდებულნი არიან, შეხვდნენ ამომრჩევლებს. ამისთვის სპეციალური დროც აქვთ გამოყოფილი.

- წარმომადგენლობითი ორგანოსა და მისი ფუნქციის უკეთ გასაგებად, გაიხსენე, ვინ შეადგენს სასკოლო საზოგადოებას.
- სკოლაში ამ საზოგადოების წარმომადგენლობითი ორგანოა სამეურვეო საბჭო. ვინ უნდა ერთიანდებოდეს სამეურვეო საბჭოში?

ახალი სიტყვები: წარმომადგენლობითი ორგანო, საპარლამენტო ფრაქცია.

5. პარლამენტის ფუნქციები

პარლამენტის საკანონმდებლო ფუნქცია

- გაიხსენე პარლამენტის მთავარი საქმიანობა.



პარლამენტი იღებს კანონებს, რომლებითაც განისაზღვრება ქვეყნის, საზოგადოებისა და ადამიანთა ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი წესები. ეს პარლამენტის **საკანონმდებლო ფუნქციაა**. ამიტომაც ეწოდება მას **საკანონ-მდებლო ორგანო**.

ალბათ გახსოვს, რომ კანონები მიიღება დეპუტატთა გაერთიანებულ, პლენარულ სხდომაზე. სხდომას უძღვება **პარლამენტის თავმჯდომარე** – პარლამენ-ტის წარმომადგენელი ქვეყნის საშინაო და საგარეო ურთიერთობებში. იგი ხელმძღვანელობს პარლამენტის მუშაობასაც. პარლამენტის თავმჯდომა-რეს პარლამენტი ირჩევს. მას ჰყავს **პირველი მოადგილე** და **მოადგილეები**. პარლამენტის თავმჯდომარის არყოფნისას მის მოვალეობას ასრულებს რომელი-მე მოადგილე (იხ. სურათი, გვ.13)

პლენარულ სხდომაზე განხილვამდე, კანონი მზადდება მცირე ჯგუფებში - კომიტეტებში.

პარლამენტის კომიტეტები (იხ. სურათი, გვ.13) იქმნება პარლამენტის საქმიანობის უკეთ წარმართვისათვის. თითოეული კომიტეტი გარკვეულ სფეროს იბარებს და, დაახლოებით, 10-19 დეპუტატს აერთიანებს.

მაგ.: კანონს ზოგადი ან უმაღლესი განათლების შესახებ განიხილავს განათლების კომიტეტი, ხოლო კანონს სოფლის მეურნეობის შესახებ – აგრარულ საკითხთა კომიტეტი.

განხილვა კომიტეტის სხდომაზე

აქტივობა 5.1

გაიყავით 2 ნაწილად. ერთ ნაწილს დაგირიგდებათ ერთი ფერის ბარათები, კომიტეტის სახელწოდებით, მეორეს კი – სხვა ფერის ბარათები, განსახილველი საკითხით.

5 წუთის განმავლობაში თითოეულმა თქვენგანმა უნდა იპოვოს თავისი მეწყვილე.

ახლა უკვე იცი კომიტეტისა და ფრაქციის მნიშვნელობა და შეგიძლია, გაიგო, რა არის **პარლამენტის ბიურო,** რომელსაც სურათზე (გვ. 13) უკვე შეამჩნევდი. მისი ფუნქციაა პარლამენტის საქმიანობის დაგეგმვა და ორგანიზება.

ბიუროში ერთიანდებიან: პარლამენტის თავმჯდომარე, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები და პარლამენტის კომიტეტებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები.

კანონის მიღების პროცესი იწყება საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენით. მას კანონპროექტსაც უწოდებენ.

პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის უფლება აქვს საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წევრს, კომიტეტს, ფრაქციას, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებსა და არანაკლებ 25 000 ამომრჩეველს.

კანონპროექტის განხილვის ეტაპებს მოსმენები ეწოდება. პარლამენტი კანონპროექტს 3 მოსმენით განიხილავს.

I მოსმენაზე განიხილება კანონპროექტის ზოგადი პრინციპები და ძირითადი დებულებები. დეპუტატები მსჯელობენ კონკრეტულ საკითხებზე *(მაგ.: საჭიროა თუ არა თამბაქოს მოხმარებაზე შეზღუდვების დაწესება მის შესამცირებლად)*.

II მოსმენაზე კანონპროექტი განიხილება დეტალურად. ამ დროს დეპუტატები იმსჯელებენ, რამდენად მისაღებია კანონპროექტით შემოთავაზებული კონკრეტული წესები *(მაგ.: 1. აიკრძალოს შენობებში თამბაქოს მოხმარება; 2. ამ წესების დამრღვევი დაჯარიმდეს 50 ლარით; 3. ამ კანონის აღსრულება დაევალოს პოლიციას)*.

III მოსმენაზე კანონპროექტში შესაძლებელია მხოლოდ ტექნიკური ცვლილებების შეტანა *(მაგ.: ხომ არ ჯობია, მესამე პუნქტი ასე ჩამოყალიბდეს? ამ კანონის აღსრულებას უზრუნველყოფს პოლიცია)*.

მოსმენებს შორის კანონი კომიტეტს უბრუნდება დასამუშავებლად. კანონი მიღებულად მიიჩნევა, როცა პარლამენტი მესამე მოსმენით დაუჭერს მხარს. ამის შემდეგ ის ხელმოსაწერად ეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს.



აქტივობა 5.2

დაიყავით ჯგუფებად. ბარათებზე მოცემულია კანონის მიღების ეტაპები.

დაალაგეთ ჯგუფებში ბარათები სწორი თანმიმდევრობით.

აქტივობა 5.3

გადანაწილდით ჯგუფებად და განიხილეთ თქვენს კლასში მოქმედი წესები. დაფიქრდით, როგორ სრულდება ისინი.

ცალ-ცალკე ჩამოწერეთ წესები, რომლებიც სრულდება და არ სრულდება. ხომ არ ითხოვს რომელიმე მათგანი შეცვლას ან დამატებას? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება. წარუდგინეთ ნამუშევარი კლასს და კენჭი უყარეთ თითოეული ჯგუფის გადაწყვეტილებას.

ზოგჯერ საჭიროა ცვლილების შეტანა კანონში (რომელიმე მუხლის ამოღება, დამატება ან შეცვლა). ამ საკითხსაც ისევე სჭირდება განხილვა საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე, როგორც ახალი კანონის მიღებას.

აქვს თუ არა პარლამენტს მუშაობის წესები?

ყველა ორგანიზაციას სჭირდება თავისი მუშაობის წესები. საკუთარი წესები აქვს პარლამენტსაც. ისინი გაწერილია შესაბამისი კანონით – პარლამენტის რეგლამენტით.

ახალი სიტყვები: საკანონმდებლო ფუნქცია, საკანონმდებლო ორგანო, პარლამენტის თავმჯდომარე, პარლამენტის კომიტეტი, პარლამენტის ბიურო, კანონი, კანონმდებლობა, პარლამენტის რეგლამენტი.

პარლამენტის საკონტროლო საქმიანობა

კანონების მიღებასთან ერთად, პარლამენტი აკონტროლებს მთავრობის საქმიანობას და კანონების აღსრულებას. შესაბამისად, იგი **საკონტროლო ფუნქციასაც** ასრულებს.

ამ საქმიანობას ხშირად **საპარლამენტო კონტროლს** ან **ზედამხედველობასაც** უწოდებენ. პარლამენტი აკონტროლებს, თუ როგორ მუშაობს აღმასრულებელი ხელისუფლება, რამდენად სრულდება მიღებული კანონები, რა პრობლემებია საზოგადოებაში და ა.შ.

- გაიხსენე, რას ნიშნავს აღმასრულებელი ხელისუფლება.

აქტივობა 5.4

გაიყავით 4 ჯგუფად. დაინაწილეთ და წაიკითხეთ თითო ტექსტი. იმსჯელეთ ჯგუფში მის შესახებ და შემდეგ აუხსენით დანარჩენ კლასს ტექსტის შინაარსი. ახსნისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ნახატი, ნახაზი და ა.შ.

ა) როგორც პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, ისე კომიტეტებში, დროდადრო იწვევენ და უსმენენ მინისტრებსა თუ სხვა მნიშვნელოვან თანამდებობის პირებს. დეპუტატები მათ კითხვებს უსვამენ.

ბ) პარლამენტის წევრს უფლება აქვს, შეკითხვით მიმართოს სხვადასხვა ორგანოსა თუ მათ ხელმძღვანელებს და მიიღოს სათანადო პასუხები. ეს კითხვა-პასუხი ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე და მობილურ აპლიკაციაში.

გ) როგორ მუშაობს მიღებული კანონები?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, კომიტეტები, კანონის ამოქმედებიდან გარკვეული დროის შემდეგ, ამოწმებენ მის მუშაობას რეალობაში. ისინი ეცნობიან სხვადასხვა ორგანიზაციისა და მოქალაქისგან მიღებულ ინფორმაციას, შემდეგ კი წყვეტენ, რამდენად ესაჭიროება კანონს ცვლილება, ან რა ღონისძიებები უნდა გატარდეს კანონის უკეთ აღსრულებისთვის.

დ) პარლამენტში შეიძლება შეიქმნას თემატური მოკვლევის ჯგუფი, რომელიც შეისწავლის საზოგადოებაში არსებულ მნიშვნელოვან და საჭირბოროტო საკითხებს და მოამზადებს ანგარიშს.

მონიშნეთ უცხო ტერმინები და დაასახელეთ პრეზენტაციისას.

საპარლამენტო კონტროლის გზებია:

მინისტრების/თანამდებობის პირების მოსმენა – როგორც პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, ისე კომიტეტებში, დროდადრო იწვევენ და უსმენენ მინისტრებსა და სხვა მნიშვნელოვან თანამდებობის პირებს. მინისტრებს შეუძლიათ, საკუთარი ინიციატივითაც წარდგნენ პარლამენტის წინაშე. პრემიერ-მინისტრი (მთავრობის ხელმძღვანელი) ვალდებულია, ყოველი წლის საგაზაფხულო სესიის ბოლოს ეწვიოს პარლამენტს მოხსენებით, თუ როგორ მუშაობს მთავრობა სხვადასხვა მიმართულებით. მოსმენისას დეპუტატები სვამენ მნიშვნელოვან და, ხშირად, მწვავე შეკითხვებსაც და ცდილობენ პასუხების მიღებას.

პარლამენტის წევრის კითხვა – პარლამენტის წევრს უფლება აქვს, შეკითხვით მიმართოს სხვადასხვა ორგანოსა თუ მათ ხელმძღვანელებს და მიიღოს სათანადო პასუხები. ეს კითხვები და პასუხები ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე და მობილურ აპლიკაციაში.

კანონის აღსრულების კონტროლი – როგორ მუშაობს მიღებული კანონები? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად კომიტეტები, კანონის ამოქმედებიდან გარკვეული დროის შემდეგ, ამოწმებენ მის მუშაობას რეალობაში. ისინი ეცნობიან სხვადასხვა ორგანიზაციისა და მოქალაქისგან მიღებულ ინფორმაციას, შემდეგ კი წყვეტენ, რამდენად ესაჭიროება კანონს ცვლილება, ან რა ღონისძიებები უნდა გატარდეს კანონის უკეთ აღსრულებისთვის.

მაგალითი: 2018 წლის 1 მაისს ძალაში შევიდა პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, რომელიც მიზნად ისახავდა თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირებას. დაწესდა შეზღუდვები (მაგ.: აიკრძალა თამბაქოს რეკლამა, დახურულ საჯარო სივრცეებში მოწევა და ა.შ.). 2019 წლის მაისში პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა გააკონტროლა ამ კანონის აღსრულება. განხილვებზე კომიტეტმა აღმოაჩინა, რომ კანონის მოქმედებამ დადებითი შედეგები გამოიღო, თუმცა არის საკითხები, რომლებსაც 2018 წლის კანონი არ ითვალისწინებს და აუცილებლად მოითხოვს მსჯელობას (მაგ.: უნდა დაიწყოს მუშაობა ტაქსებსა და მსუბუქ ავტომობილებში არასრულწლოვანთა თანდასწრებით თამბაქოს მოხმარების აკრძალვაზე).

აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მოსმენისა და მათთვის კითხვების დასმის გარდა, პარლამენტში შეიძლება შეიქმნას **თემატური მოკვლევის ჯგუფი**, რომელიც შეისწავლის საზოგადოებაში არსებულ საჭირბოროტო საკითხებს და მოამზადებს შესაბამის ანგარიშს.

მაგალითი: 2018 წელს საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა დაიწყო თემატური მოკვლევა თბილისში ჰაერის მდგომარეობის შესახებ. პროცესმა ბევრი საინტერესო საკითხი გამოავლინა, მაგალითად, ის, რომ ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია სამშენებლო მტვერი.



აქტივობა 5.5

გადანაწილდით ჯგუფებში. გაეცანით სამინისტროთა მოკლე ჩამონათვალს.

მოიფიქრეთ 2 კითხვა, რომლებითაც პარლამენტის წევრმა შეიძლება მიმართოს თითოეულ სამინისტროს:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
2. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
4. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
5. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ახალი სიტყვები: საკონტროლო ფუნქცია, საკონტროლო საქმიანობა, კანონის აღსრულების კონტროლი.

პარლამენტის სხვა ფუნქციები

საკანონმდებლო და საკონტროლო ფუნქციების გარდა, პარლამენტს აქვს სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციებიც.

მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება – საკითხს, თუ ვინ უნდა იყვნენ მთავრობის წევრები (პრემიერ-მინისტრი, მინისტრები), წყვეტს პარლამენტი. ამ პროცესს ეწოდება მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება. პარლამენტს ასევე უფლება აქვს, უნდობლობა გამოუცხადოს მას და აირჩიოს ახალი მთავრობა.

თანამდებობის პირთა არჩევა და გადაყენება – მთავრობის წევრების გარდა, პარლამენტი ირჩევს სხვადასხვა მნიშვნელოვან თანამდებობის პირსაც (მაგ.: უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს). პარლამენტს აქვს ზოგიერთი მათგანის გადაყენების უფლებაც. გარკვეულ თანამდებობის პირთა გადაყენების პროცედურას **იმპიჩმენტი** ეწოდება. მაგალითად, პარლამენტს შეუძლია, იმპიჩმენტის წესით გადააყენოს საქართველოს პრეზიდენტი.

ბიუჯეტის მიღება – ბიუჯეტი ქვეყნის მამოძრავებელი ძალაა. ის ჩვენი გადასახადებით ივსება და, საბოლოოდ, ჩვენს საერთო ინტერესებს ხმარდება. ყოველი წლის ბოლოს პარლამენტი ამტკიცებს მომავალი წლის ბიუჯეტს, რომლის პროექტსაც პარლამენტში მთავრობა წარადგენს. დეპუტატები ბევრს მსჯელობენ ქვეყნის ბიუჯეტის გადანაწილებასა და პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრაზე.

საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენების მოსმენა – პარლამენტი საგაზაფხულო სესიის დასაწყისში ისმენს საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიურ მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. დეპუტატებს საშუალება ეძლევათ, სიტყვით გამოვიდნენ და შეაფასონ პრეზიდენტის მოხსენება.

აქტივობა 5.6

წარმოიდგინეთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის გადანაწილება გევალებათ. იმსჯელეთ ჯგუფში და ბარათები (წარწერებით: „განათლება“, „თავდაცვა“, „ჯანდაცვა“, „სპორტი“, „სოფლის მეურნეობა“, „კულტურა“ და ა.შ) დაალაგეთ იმის მიხედვით, თუ რომელ სფეროს გამოუყოფდით მეტ ფულს.

ახალი სიტყვები: იმპიჩმენტი.

6. მოქალაქეთა მონაწილეობა პარლამენტის საქმიანობაში

პარლამენტის საქმიანობაზე უკვე ბევრი რამ იცი. მასში მოქალაქეთა ჩართულობის მრავალი გზა არსებობს. გავეცნოთ რამდენიმეს:

საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენა მოქალაქეთა მხრიდან

თუ მოქალაქეთა ნაწილს მიაჩნია, რომ გარკვეული ინტერესები კანონით არ არის დაცული, მათ შეიძლება გაუჩნდეთ ახალი კანონის მიღების სურვილი. ამ ადამიანებს უფლება აქვთ, საკანონმდებლო ინიციატივა წარუდგინონ პარლამენტს. თუმცა ამისთვის უნდა შეგროვდეს 25 000 ამომრჩევლის ხელმოწერა.

- როგორ ფიქრობ, რატომ არის საჭირო 25 000 ხელმოწერის შეგროვება?



თუ მოქალაქეებს სურთ, პარლამენტს კონსტიტუციაში ცვლილება შესთავაზონ, აუცილებელია 200 000 ხელმოწერის შეგროვება.

- რატომ სჭირდება უფრო მეტი ხელმოწერის შეგროვება საკონსტიტუციო ცვლილებას?

ხელმოწერების შეგროვება შესაძლებელია პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობითაც. მოქალაქის საკანონმდებლო ინიციატივას პარლამენტი განიხილავს ნებისმიერი სხვა კანონპროექტის მსგავსად.

მონაწილეობა კომიტეტის სხდომაში

მოქალაქეებს შეუძლიათ კომიტეტის სხდომებში მონაწილეობა, მათ შორის, საკუთარი აზრის გამოთქმაც. ამისთვის პირმა პარლამენტს წინასწარ უნდა მიმართოს. მოქალაქეებს უფლება აქვთ, ჩაერთონ ისეთ პროცესებშიც, როგორიცაა კომიტეტში მიმდინარე თემატური მოკვლევა და კანონების აღსრულების კონტროლი (მაგ.: გაუგზავნონ საკუთარი მოსაზრებები, მონაწილეობა მიიღონ შეხვედრებში და ა.შ.).

საკანონმდებლო წინადადებით მიმართვა

მოქალაქეს ან რომელიმე ორგანიზაციას შეუძლია, პარლამენტს მიმართოს საკანონმდებლო წინადადებით და მიაწოდოს რაიმე იდეა. ამ პროცესს ხელმოწერები არ სჭირდება. თუ წინადადება პარლამენტს მოეწონება, შეუძლია, კანონპროექტად აქციოს და შესაბამისი სახით განიხილოს.

კომენტარის გაკეთება

პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებულია ყველა კანონპროექტი, რომლებსაც ეს ორგანო განიხილავს. მოქალაქეებს შეუძლიათ, ვებგვერდზევე დატოვონ კომენტარი ნებისმიერი კანონპროექტის შესახებ. პარლამენტი ვალდებულია, განიხილოს თითოეული ასეთი მოსაზრება.

პეტიცია

პარლამენტის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის კიდევ ერთი ფორმაა პეტიცია. ეს არის არანაკლებ 300 პირის მიმართვა ყველასთვის მნიშვნელოვანი საკითხისა თუ პრობლემის შესახებ (მაგ.: მოქალაქეებმა შეიძლება პეტიციით მიმართონ პარლამენტს, რომ აიკრძალოს მარჯვენასაჭიანი ავტომობილებით გადაადგილება; 1 ივნისი – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე – გამოცხადდეს უქმედ და ა.შ.). პეტიციაზე ხელმოწერების შეგროვება შესაძლებელია პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობითაც. თუ პეტიციას ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდება, მოსალოდნელია, რომ პარლამენტი დააკმაყოფილებს მას.

აქტივობა 6.1

ხომ არ გაქვს წინადადება, რომელსაც გინდა, კანონის სახე ჰქონდეს?

იქნებ გიფიქრია: „ნეტავ ასეთი კანონი არსებობდეს!“

აქტივობა 6.2

გადაიხაზე ცხრილი. მარცხენა სვეტში ჩამოწერილი დებულებების მიხედვით, მარჯვენა სვეტში ადგილი მიუჩინე ტერმინებს ჩართულობის სახეების შესახებ:

საკანონმდებლო ინიციატივა, საკანონმდებლო წინადადება, კომენტარი კანონ-პროექტზე.

დებულება	**ჩართულობის სახე**
„25-ე მუხლი ბუნდოვანია“	
„შესაძლებელი იყოს არჩევნებში ელექტრონულად ხმის მიცემა“	
„შევიდეს ცვლილება გარემოს დაცვის შესახებ კანონის მე-8 მუხლში“	

არ ჩაწერო წიგნში
არ ჩაწერო წიგნში

აქტივობა 6.3

მოიფიქრე იდეა პეტიციისთვის.

ახალი სიტყვები: საკანონმდებლო ინიციატივა, საკანონმდებლო წინადადება, პეტიცია.

7. საპარლამენტო კალენდარი

საპარლამენტო ცხოვრების მნიშვნელოვანი თარიღები:

8. როგორ გავეცნოთ პარლამენტის საქმიანობას ონლაინ?

საქართველოს პარლამენტი მის საქმიანობაზე ინფორმაციის მისაღებად საზოგადოებას რამდენიმე ონლაინ სერვისს სთავაზობს:

საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი www.parliament.ge

ვებგვერდზე შეგიძლიათ ნახოთ, თუ რა ხდება პარლამენტში, მოიძიოთ ინფორმაცია მოქმედ პარლამენტის წევრებზე, კომიტეტებზე, ფრაქციებზე, კომისიებსა და საბჭოებზე; ასევე, გაიგოთ, რომელი კანონები განიხილება, რომელი მინისტრები არიან მიწვეულნი, როდის ტარდება პარლამენტის სესიები, საკომიტეტო მოსმენები და სხვა ღონისძიებები.

საქართველოს პარლამენტზე ინფორმაციას გაეცნობით მობილური აპლიკაციითაც – **Geo Parliament**. მისი ჩამოტვირთვა შესაძლებელია შემდეგი ოპერაციული სისტემებიდან: ANDROID (Play Store) და IOS (App Store).

ANDROID (Play Store) სისტემისთვის

IOS (App Store) სისტემისთვის

პირდაპირი ეთერი **Live Stream**

საქართველოს პარლამენტის პლენარული და საკომიტეტო სხდომები პირდაპირ ეთერში გადაიცემა, Live Stream-ის მეშვეობით. მათთვის თვალის მიდევნება შესაძლებელია პარლამენტის ვებგვერდზე (www.parliament.ge), ან სოციალურ ქსელში (https://www.facebook.com/parliamentgeo).

9. ექსკურსია საქართველოს პარლამენტში

საქართველოს პარლამენტში მუდმივად ტარდება ექსკურსიები, რომლებიც სტუმრებს უკეთ აცნობს პარლამენტის ისტორიასა და ფუნქციებს.

მსურველებს საშუალება აქვთ, დაათვალიერონ:

- პარლამენტის სასახლის შენობა;
- პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზი;
- პირველი რესპუბლიკის, ილია ჭავჭავაძის, შოთა რუსთაველისა და თამარ მეფის სახელობის დარბაზები;
- საქართველოს პარლამენტარიზმის მუზეუმი.

და გაეცნონ:

- ქართული პარლამენტარიზმის ისტორიას;
- პარლამენტის სტრუქტურას, მისიასა და საქმიანობას.

როგორ დავჯავშნოთ ტური?

მასწავლებელთან ერთად იმსჯელეთ, თუ რომელ დღეს გსურთ პარლამენტში ვიზიტი. ექსკურსიის დასაჯავშნად, პარლამენტს უნდა მიმართოთ სტუმრობამდე, სულ მცირე, 3 სამუშაო დღით ადრე, ელფოსტის მეშვეობით (tours@parliament.ge), და მიაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

- სკოლის დასახელება;
- ექსკურსიის მსურველთა (არაუმეტეს 30 სტუმარი) სია, სადაც მითითებულია თქვენი სახელები, გვარები და პირადი ნომრები;
- თქვენი მასწავლებლის ან სხვა საკონტაქტო პირის ტელეფონის ნომერი.

გაითვალისწინეთ:

საექსკურსიო ტურები ეწყობა ყოველდღე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით,

12:00, 15:00 და 17:00 საათზე (ეროვნული დღესასწაულების გარდა).

10. პარლამენტის საკონტაქტო ინფორმაცია

მისამართი: 0118, თბილისი, რუსთაველის გამზირი, 8

ტელ: +995 32 2 28 16 79

ელფოსტა: contact@parliament.ge



საკანონმდებლო პროცესი

პარლამენტში შედის საკანონმდებლო ინიციატივა

პარლამენტის აპარატი არეგისტრირებს კანონპროექტს

ბიურო იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის განხილვის დაწყებაზე

I მოსმენით განიხილება კომიტეტში

გადაეცემა ბიუროს, რომელსაც კანონპროექტი შეაქვს უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში

I მოსმენით განიხილება პლენარულ სხდომაზე და უყრიან კენჭს

II მოსმენით განიხილება კომიტეტში

გადაეცემა ბიუროს, რომელსაც კანონპროექტი შეაქვს უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში

II მოსმენით განიხილება პლენარულ სხდომაზე და უყრიან კენჭს

III მოსმენით განიხილება კომიტეტში

გადაეცემა ბიუროს, რომელსაც კანონპროექტი შეაქვს უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში

III მოსმენით განიხილება პლენარულ სხდომაზე და უყრიან კენჭს

კანონი ხელმოსაწერად გადაეცემა პრეზიდენტს

საკანონმდებლო ორგანოები საზღვარგარეთის ქვეყნებში

დიდი ბრიტანეთის პარლამენტი

აშშ კონგრესი

ევროპარლამენტი

გერმანიის ბუნდესტაგი

შვედეთის რიკსდაგი

ავსტრიის პარლამენტი

საფრანგეთის პარლამენტი

უნგრეთის პარლამენტი

ბელგიის ფედერალური პარლამენტი

ნიდერლანდების სამეფოს პარლამენტი

ესტონეთის რიიგიკოგუ

იტალიის პარლამენტი

ესპანეთის პარლამენტი

დანიის ფოლკეტინგი

შვეიცარიის ფედერალური პარლამენტი

რუმინეთის პარლამენტი

თურქეთის მეჯლისი

ისრაელის ქნესეტი

სამხრეთ აფრიკის პარლამენტი

ინდოეთის ლოკ-საბჰა

იაპონიის პარლამენტი

ახალი ზელანდიის პარლამენტი

არგენტინის ეროვნული კონგრესი

ურუგვაის პარლამენტი